

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია სასამართლო პროცესის საქვეყნობის სამართლებრივი რეგულირების არსებული წესი, რაც ხელს უშლის საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპის სრულყოფილად რეალიზებას.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიღების მიზანია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცება, ეფექტური და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით განმტკიცებული სასამართლო პროცესის საქვეყნობის პრინციპის სრულყოფილად რეალიზების მიზნით, განსაზღვრავს სასამართლო სხდომაზე სტენოგრაფირების, ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღებისა და აუდიოჩაწერის, აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით ტრანსლაციის წესს. პროცესის საქვეყნობის მარეგულირებელი ნორმები ასევე ასახულია სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, რაც ერთი მხრივ სრულად უზრუნველყოფს სასამართლო პროცესზე განვითარებული მოვლენების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებულობას, მაგრამ მეორეს მხრივ, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას სხდომის დარბაზში ტელეკამერების ყოფნა ხელს უწყობს პროცესის ანგაჟირებას, მხარეთა მიერ შეგნებული პროვოკაციების მოწყობას და ახდენს მოსამართლეზე გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. შესაბამისად, საჭიროა შემუშავდეს იმგვარი საკანონმდებლო რეგულაცია, რაც სასამართლო განხილვის საჯაროობასთან ერთად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანას, ასევე განსახილველ საქმეზე სწორი სამართლებრივი შეფასებების გაკეთებას. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს შენობაში, ასევე სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა განხორციელდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით, რომლის შესაბამისადაც სასამართლო პროცესის აუდიო და ვიდეო მასალების გავრცელების უფლებამოსილება ენიჭება სასამართლოს პრეს-სამსახურს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით გამართულ სამუშაო შეხვედრებზე მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.